

temperature was within normal limits. Lymph nodes weren't palpable. During the examination of visible mucous membranes, pathological changes weren't observed. The eruptions on the body were numerous, symmetric, oval and circular, small sized plaques with fine scale on the lower part of the body, there wasn't spread of lesions on lower extremities. During a survey of the patient, it was found that his wife also had a similar rash. A potassium hydroxide examination of skin scrapings for fungal elements was negative. Patient and his wife were diagnosed with Pityriasis rosea Gilbert's familial case, probably caused by virus agent. Recommendations were given to the patients and proper treatment was prescribed.

გიორგობიანი ლ., თოდაძე ს.

მეთაღონით ჩანაცვლებითი თერაპიის პაციენტების ქცევითი პატარნები SARS-CoV-2-ის პანდემიის დროს

თსსუ, ნარკოლოგიის დეპარტამენტი; შპს "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის არაპენციის ცენტრი"

2019 წლის დეკემბერში, ჩინეთში, ქალაქ უჰანში, პირველად დაფიქსირდა ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) შემთხვევები, რომელიც გამოწვეული იყო ახალი ბეტა კორონავირუსით (SARS-CoV-2). ამ შემთხვევებს ახასიათებდა პნევმონიის მწვავე სიმპტომები, როგორცაა ცხელება, მშრალი ხველა, შემცივნება, ქოშინი და მიაღვია. SARS-CoV-2-ის აფეთქება სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. 2023 წლის 12 იანვრის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში 670 097 079 მილიონი ადამიანი დაინფიცირდა და 6 721 738 გარდაიცვალა. მათ შორის, საქართველოში 1 809 359 დაინფიცირდა და 16 899 გარდაიცვალა. კორონავირუსულ დაავადებას - (COVID-19), რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა და რომელიც დღესაც გრძელდება, უზარმაზარი სოციო-ეკონომიკური და ჯანმრთელობის ზიანი მოაქვს მთელი მსოფლიოს მოსახლეობისთვის (2, 3, 4, 10).

SARS-CoV-2-ზე ჩატარებული ბოლო კვლევების თანახმად, ვირუსი ძირითადად აზიანებს სასუნთქ გზებს, მაგრამ, ასევე, შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა (საჭმლის მომნელებელ, უროგენიტალურ, ნერვულ, სისხლის მიმოქცევის და სხვ.) სისტემებზე(2,3,9).

კოვიდ-19-ის მიმდინარეობის სიმძიმე უკავშირდება ხანდაზმულ ასაკს, ქრონიკულ და არაინფექციურ დაავადებებს. ავადმყოფის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ჰოსპიტალიზაცია და ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია დაავადების მძიმე მიმდინარეობაზე მიუთითებს. ავადობის გამწვავებას ხელს უწყობს თანდართული ქრონიკული დაავადებები: შაქრიანი დიაბეტი, ჭარბი წონა (ორგანიზმის გაცხიმება), ჰიპერტონია, გულის უკმარისობა, გულის იმემიური დაავადება, ორგანოთა სოლიდური სიმსი-

ნური დაავადება, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, თირკმელების ქრონიკული დაავადება, იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, ნევროლოგიური ნარმოშობის პათოლოგიები, დემენცია და თამბაქოს მოხმარება (5).

კოვიდ-19-ით პანდემიის დროს სამედიცინო საზოგადოების შეშფოთების საგანი გახდა ის ფაქტი, რომ გართულებების გარდა SARS-CoV-2 პირდაპირ და არაპირდაპირ მოქმედებს მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ნეიროტროპულ პოტენციალზე. დაავადება გადატანილი პაციენტების გამოკვლევებმა დაადგინა პოსტტრავმული სტრესის განვითარების მაღალი დონე (96,2%). ასევე, დადგინდა დეპრესიული სიმპტომების განვითარების შედარებით მაღალი ალბათობა. ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტები დაავადების გადატანის შემდგომ უჩიოდნენ ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებას (6,7).

კოვიდ-19-ით პანდემიის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის კვლევამ აჩვენა, რომ პოსტკოვიდურ პერიოდში გამოკითხული მოსახლეობის 16,3% უჩიოდა მსუბუქ, 73% - ნორმალური დონის, 6,2% ზომიერად გამოხატულ და 4,5% მძიმე ფსიქიკურ დისტრესს. გამოკითხულთა 14,7% აკმაყოფილებდა შფოთვის, 9,5% კი - დეპრესიის კრიტერიუმებს. ფსიქიკური დისტრესის მოვლენები იზრდებოდა კოვიდ-19 შემთხვევების მატებასთან ერთად, ქალებში უფრო მეტად იყო გამოვლენილი, ვიდრე მამაკაცებში. სოციალური დაუცველობა, განქორწინება და გაუთხოვრობა კიდევ უფრო ზრდიდა დისტრესის მოვლენებს. ბედნიერი ქორწინება და მაღალანაზღაურებადი სამსახური ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დადებითად აისახებოდა. ფსიქიკური დისტრესის ზრდა, ასევე, უკავშირდებოდა ინდივიდის აღქმას, რომ მას პირადად აქვს დაინფიცირების და სიკვდილის რისკი. ნარკოტიკების, მარიხუანას და ალკოჰოლის მოხმარება ასოცირებული იყო უფრო მეტი ინტენსივობით გამოხატულ დისტრესთან. პანდემიასთან დაკავშირებული ავადობის და სიკვდილიანობის უპრეცედენტო მასშტაბები ხელს უწყობდა მოსახლეობის სოციალურ იზოლაციას და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას. საზოგადოების საერთო მდგომარეობა ძალიან რთულია, რადგან დაზარალებულ ადამიანებს პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა, დეპრესია და შფოთვა შეიძლება თვეებისა და წლების შემდეგაც კი აწუხებდეთ (9).

პანდემიის პერიოდმა აჩვენა, რომ ამ დროს საზოგადოების ისეთი მონყვლადი ჯგუფის, როგორცაა ფსიქოპათიური ნივთიერებების მომხმარებელი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები, ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ფსიქოპათიური ნივთიერებების მომხმარებელი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები წარმოადგენენ მოსახლეობის ერთ-ერთ შედარებით დაუცველ ჯგუფს, რომელთაც აქვთ ავადობის მომატებული რისკი სუსტი ჯანმრთელობისა და დაბალი იმუნიტეტის გამო. გარდა ამისა, პანდემიის პერიოდში ხშირ შემთხვევაში შემცირებული იყო ფსიქოპათიური ნივთიერებების ხელმისაწვდომობა, რასაც ეს ადამიანები ჯანმრთელობისათვის ისეთ საშიშ ქმედებამდე მიჰყავდა, როგორცაა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხ-

მარება, მომატებული აგრესია, თვითაგრესია და სუიციდი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ადამიანებს ჰქონდეთ წვდომა დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების ცენტრებთან, ექიმებსა და ფსიქოლოგებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის მკურნალობას და ფსიქოლოგიურ დახმარებას (8, 9, 10, 11).

არსებული მონაცემების მიხედვით, ოპიოიდების და მეტამფეტამინის მომხმარებელი პირები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ვირუსების მიმართ და კოვიდ-19-ის დიდი მიმღებლობით გამოირჩევიან. ამ ჯგუფში ძალიან დიდაა ფილტვის ფუნქციის დარღვევის და დაავადების მძიმედ მიმდინარეობის რისკი. ოპიოიდების მომხმარებლებს ძალიან ხშირად უვითარდებათ მწვავე რესპირაციული სინდრომი და ახლო აღმოსავლეთის რესპირაციული სინდრომი (9).

კორონავირუსული დაავადების გავრცელების შესაკავებლად სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის მიერ დაწესებული კარანტინი და მოსახლეობის სახლებში ჩაკეტვა მრავალი ფსიქოსოციალური პრობლემის წარმოქმნის წინაპირობა გახდა. გამოვლინდა შიდა ოჯახური ურთიერთობების გართულება, ოჯახური ძალადობა, კორონავირუსთან დაკავშირებული სტიგმატიზაცია, შფოთვა, უძილობა, იმედგაცრუება და გაღიზიანება. ეს ყველაფერი ინვესტს ძლიერ განცდებს, რასაც შემდგომში ადამიანი ინიციატივისა და ინტერესების დაკარგვამდე მიჰყავს. მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტი, რომ ასეთი პიროვნება, საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზაციის შიშით, დროულად არ აცხადებს თავის პრობლემას და არ იღებს დროულ ფსიქოლოგიურ დახმარებას. უიმედობა, ყოველდღიური სტრესი, მძიმე ნერვულ-ფსიქიკური მდგომარეობა განაპირობებს ლტოლვას ნარკოტიკული საშუალებების მიღებისკენ. პანდემიის შესახებ ადექვატური ინფორმაციის არარსებობაც ფსიქოლოგიური სტრესის გამომწვევი კიდევ ერთი ფაქტორია. ვირუსით დაინფიცირების შიში პიროვნებისთვის შეიძლება ბევრად უფრო დამანგრეველი იყოს, ვიდრე თვითონ ვირუსი. ამიტომ ფსიქოლოგები და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე სპეციალისტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფსიქიკური კეთილდღეობის საკითხებში. ასევე მნიშვნელოვანია პანდემიის პერიოდში ობიექტური ინფორმაციის მინოდება. ეს მოსახლეობას უჩენს გადარჩენის იმედს და ოპტიმიზმის საფუძველს (8, 12).

ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია (ოჩთ) წარმოადგენს ოპიოიდებზე დამოკიდებულების მკურნალობისა და ზიანის შემცირების მნიშვნელოვან სტრატეგიას, რომელიც ჯანმოს მიერ არის რეკომენდებული, როგორც ყველაზე ეფექტური თერაპიის მეთოდი ოპიოიდებზე დამოკიდებულ პირთა უმრავლესობისთვის. გარდა სხვა ეფექტებისა, ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ოჩთ-ს პაციენტებს რეგულარული კონტაქტი აქვთ სამედიცინო დაწესებულებებთან, ვინაიდან ექიმები და სხვა სამედიცინო პერსონალი ზრუნავს მათი ცნობიერების ამაღლებაზე, მათ შორის კოვიდით ინფიცირების რისკის შემცირების საკითხებზე, სთავაზობს კონსულტირებასა და ტესტირებას აივ-სა და ჰეპატიტებზე.

კვლევის მიზანი იყო მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის (მჩთ) სახელმწიფო პროგრამების მოსარგებლეთა ქცევითი პატერნების დადგენა პანდემიის პერიოდში.

საკვლევი მასალა და მეთოდები: სახელმწიფო მჩთ პაციენტების კვლევა განხორციელდა ფოკუსური ჯგუფების სახით. თბილისის 4 სხვადასხვა მჩთ განყოფილებაში შემთხვევითი შერჩევითი შეიქმნა 6-8 კაციანი ჯგუფები (თითო განყოფილებაში - თითო ჯგუფი). გამოკითხვა ჩატარდა პაციენტთა ინფორმირებული თანხმობით. სულ გამოკითხულ იქნა 29 პაციენტი, ყველა მათგანი იყო მამაკაცი. პაციენტთა ასაკი მერყეობდა 31-დან 66 წლამდე. პაციენტების მჩთ თერაპიაში ჩართულობის ხანგრძლივობა ვარირებდა 2-დან 13 წლამდე. პაციენტების მიერ მიღებული მეთადონის ჰიდროქლორიდის დოზა მერყეობდა 20-დან 90 მგ-მდე.

კვლევა განხორციელდა წინასწარ შედგენილი გზამკვლევის მიხედვით, რომელიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. კოვიდით ინფიცირების პრევენციული და რისკის ფაქტორები;
2. მოხდა თუ არა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცვლილება კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში;
3. მეთადონის დოზების ცვლილება და მისი მოხმარების დარღვევები;
4. სხვა ნარკოტიკული/ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება;
5. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა.

ფოკუსური ჯგუფის გამოკითხვა ხდებოდა ცალკე ოთახში, კომფორტულ გარემოში. კვლევა გრძელდებოდა 90-100 წთ. საუბრის ჩანერა ხდებოდა დიქტოფონზე, კვლევაში მონაწილეთა თანხმობით.

მიღებული შედეგები და მათი ანალიზი. 1. ყველა პაციენტმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად იცავდნენ კოვიდით ინფიცირების პრევენციულ ზომებს, როგორცაა ნიღაბი, ხელების დამუშავება. ყველა მათგანი იყო ვაქცინირებული ერთხელ მაინც. პაციენტები აღნიშნავდნენ, რომ ამ თვალსაზრისით, მათი ცნობიერების ამაღლებაზე მნიშვნელოვნად იმუშავა მჩთ-ს პერსონალის რჩევებმა და დაწესებულებებში ორგანიზებულმა დამცავმა პროცედურებმა. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ თავად დაწესებულებებში შესვლის შემდეგ მაქსიმალურად ხდებოდა დისტანციის დაცვა, მაღალი რისკის სივრცეს წარმოადგენდა გარე პერიმეტრი, სადაც ხშირად იყო პაციენტთა რიგი, და მიუხედავად დისტანციის სტიკერების არსებობისა, ზოგიერთი პაციენტი არ იცავდა რეკომენდებულ მანძილს.

2. საკვლევი პირები აცხადებდნენ, რომ ზოგადად მოემატათ შფოთვა თავად ან მათი ახლობლების კოვიდით ინფიცირების გამო. რაიმე სერიოზულ გუნებგანწყობის დაქვეითებას არ აღნიშნავდნენ. ამასთან, ყველა საკვლევემა პირმა განაცხადა, რომ მათთვის პანდემიის ის პერიოდები, როდესაც მედიკამენტის სახლში გატანება ხდებოდა, პირიქით, დადებითად აისახა მათ გუნებგანწყობასა და ფსიქოლოგიურ კომფორტზე.

3. რამდენიმე საკვლევემა პირმა განაცხადა, რომ მოუწიათ მეთადონის ჰიდროქლორიდის დოზის მკვეთრი გაზრდა, ვინაიდან მანამდე არსებული დოზის ფონზე აღენიშნებოდათ შფოთვა, უძილობა, ნარკოტიკისადმი ლტოლვა. მხოლოდ რამდენიმე პირმა აღნიშნა სახლში გატანებული დოზის ინიექციური მოხმარება, თუმცა უმრავლესობამ განაცხადა, რომ გაუგიათ ინიექციური მოხმარების შესახებ სხვა პაციენტებისგან. რამდენიმე პაციენტმა აღნიშნა კუთვნილი მედიკამენტის დოზის არასწორად მოხმარება, მაგ.: 5 დღის დოზის 3-4 დღეში მიღება, რის შემდეგაც, მედიკამენტის გარეშე დარჩენილ დღეებში, აღენიშნებოდათ დისკომფორტი, რომელსაც ხშირად ფსიქოტროპული ნივთიერებების ან “ქუჩის ნარკოტიკების” მიღებით ამცირებდნენ. რამდენიმე პირმა აღნიშნა, რომ თავიანთი კუთვნილი დოზა გადაუციათ სხვა პირისთვის ან გაუცვლიათ “ქუჩის ნარკოტიკებზე”. მეთადონის გაყიდვას ყველა უარყოფდა, თუმცა ამბობდნენ, რომ გაუგონიათ ასეთი ფაქტების შესახებ.

4. პაციენტების გარკვეული ნაწილი აღნიშნავდა მეთადონთან ერთად სხვა ნარკოტიკების/ფსიქოტროპების მოხმარებას, თუმცა ძირითადად საუბარია ბენზოდიაზეპინებსა და სხვა სედატიურ ნივთიერებებზე, ალკოჰოლსა და მარიხუანაზე.

5. ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ცვლილებას აღნიშნავდა ბევრი საკვლევი პირი, თუმცა სხვადასხვა პატერნის სახით. ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ უფრო დაუახლოვდნენ ოჯახის წევრებს, უფრო მეტად უზიარებდნენ თავიანთ განცდებსა თუ პრობლემებს, რამდენიმე კი აღნიშნა, რომ ოჯახში სიტუაცია უფრო კონფლიქტური გახდა.

კვლევამ აჩვენა, რომ მრთ სახელმწიფო პროგრამის პაციენტები, როგორც წესი, იცავდნენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ პრევენციულ რეგულაციებს კოვიდით ინფიცირების წინააღმდეგ, რაც დიდად განაპირობა მათი მრთ-ს სამედიცინო პერსონალის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა. აღსანიშნავია, რომ კოვიდის პანდემიის გამო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ორჯერ (შეზღუდული დროით) დაუშვა ჩანაცვლებითი პრეპარატის 5 დღის დოზის სახლში გატანება 2020 წლის მარტში. „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 ივლისის 01-415 ბრძანებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე პაციენტებს შესაძლებლობა მიეცათ კუთვნილი დოზის 5 დღიანი მარაგი გაეტანათ ბინაზე. აღნიშნული ცვლილება მოქმედებდა 2021 წლის 28 მაისამდე.

როგორც კვლევიდან ირკვევა, ჩანაცვლებითი პრეპარატის სახლში გატანების პრაქტიკამ გამოიწვია არაერთგვაროვანი შედეგები. პაციენტების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ეს მათთვის კომფორტული იყო და ამან შეამცირა მათი შფოთვის დონე. მეორეს მხრივ, 5 დღის დოზის ფლობამ ზოგიერთ პაციენტს უბიძგა მედიკამენტის არამიზნობრივად მოხმარებისკენ: მედიკამენტის ინიექციური მოხმარება, 5 დღის

დოზის 3-4 დღეში გამოყენება და შემდეგ სხვა ფსიქოტროპული/ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, კუთვნილი მედიკამენტის გასხვისება ან გაცვლა “ქუჩის ნარკოტიკებზე”.

დასკვნა. SARS-CoV-2-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მრთ-ს პაციენტებზე. დადებით ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სამედიცინო დაწესებულებებთან ურთიერთობამ და მათგან მიღებულმა ინფორმაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა პაციენტების ცნობიერება კოვიდ-19-ის პრევენციის თვალსაზრისით. ამავე დროს, პაციენტებს აღენიშნათ შფოთვის გაძლიერება, რაც დაკავშირებული იყო კოვიდით მათი და მათი ახლობლების ინფიცირებასთან. სახელმწიფოს მიერ მრთ პროგრამებში კოვიდის გავრცელების პრევენციისთვის განხორციელებულმა ზომებმა (ჩამანაცვლებელი მედიკამენტის 5 დღის დოზის სახლში გატანება) გამოიწვია ორმაგი შედეგი: პაციენტების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ამან გააუმჯობესა მათი გუნებ-განწყობა და კომფორტის განცდა; ამავე დროს გაიზარდა სახლში გატანებული მედიკამენტის არასწორი მოხმარება (ინიექციური გამოყენება, 5 დღის დოზის 3-4 დღეში მიღება და შემდგომში სხვა ნარკოტიკების/ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება), იშვიათ შემთხვევებში კი ადგილი ჰქონდა კუთვნილი მეთადონის გასხვისებას/გაცვლას ქუჩის ნარკოტიკებში. ეს მიგნებები მნიშვნელოვანია მომავალში ორთ პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. <https://www.who.int/director-general/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19-11-march-2020>
2. Zeinab Abdelrahman, Mengyuan Li and Xiaosheng-Wang. Comparative Review of SARS-CoV-2, SARS-CoV, MERS-CoV, and Influenza A Respiratory Viruses. *Front. Immunol.*, 11 September 2020;
3. <https://www.worldometers.info/coronavirus/> - 20.12.2020;
4. Risk factors and risk groups of Covid-19; European Center for Disease Control and Prevention, <https://www.ecdc.europa.eu/en/covid-19/latest-evidence/epidemiology> .
5. Nina Vindegaard and Michael Eriksen Benros. COVID-19 pandemic and mental health consequences: Systematic review of the current evidence. *Elsevier Public Health collection*, May, 2020.
6. Claudia Carvalho-Schneider, Emeline Laurent, Adrien Lemaigen et al. Follow-up of adults with noncritical COVID-19 two months after symptom onset. *Clinical Microbiology and Infections*. October, 2020.
7. Julia Mackolil, Joby Mackolil, Addressing psychosocial problems associated with the COVID-19 lockdown. *Asian Journal of Psychiatry* 51 (2020)
8. Calliope Hologue, PhD, MPH; Luther G. Kalb, PhD; Kira E. Riehm, MSc; Daniel Bennett, PhD; Arie Kapteyn, PhD; Cindy B. Veldhuis, PhD; Renee M. Johnson, PhD, MPH; M. Daniele Fallin, PhD; Frauke Kreuter, PhD; Elizabeth A. Stuart, PhD; Johannes Threlkett all. Mental Distress in the United States at the Beginning of the COVID-19 Pandemic. *Am J Public Health*. 2020;110(11):1628-1634.

